

სააღრიცხვო პოლიტიკა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

კომპანია კუბი + ს/კ 405159206, შპს „კუბი +“ წარმოადგენს სამშენებლო კომპანიას, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე ემსახურება სამშენებლო კომპანიებს და უშენებს სხვადასხვა დანიშნულების მქონე ობიექტებს. 2023 წლის 27 სექტემბერს შპს „კუბი +“ - მა დააფუძნა შპს „კუბი ტრანსი“ ს/კ 426550920, რომლის 75 % - იანი წილის მფლობელი არის კუბი + . შვილობილის საქმიანობაა სამშენებლო მოედნების მოწყობა, ასევე სამშენებლო მანქანების იჯარა ოპერატორთან ერთად.

კომპანია კუბი + 2016 წლიდან საქმიანობს და ამ წლების განმავლობაში მას დიდი გამოცდილება დაუგროვდა. კუბი + მის კონტრაქტორ კომპანიებს დადგენილ ვადებში აწვდის მაღალხარისხიან, ეფექტურ და საიმედო მომსახურებას.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო
პოლიტიკა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად.

ფუნქციონირებადი საწარმო - წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ განავითარონ საქმიანობა საქართველოში. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჯგუფის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა ჯგუფის ფინანსური პროგნოზი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, რომელშიც გაითვალისწინა

მოვლენათა უარყოფითი განვითარების შესაძლო სცენარები, რომელიც გულისხმობდა უარყოფითი გავლენის ისეთი დონის გამოკვლევას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის ფუნქციონირების შეწყვეტა. ამის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან.

- ამონაგები მოიცავს ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მომსახურების გაწევიდან მიღებულ ან მისაღებ ანაზღაურების რეალურ ღირებულებას. ჯგუფი ამონაგებს მაშინ აღიარებს, როდესაც შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება: მოსალოდნელია, რომ კომპანიაში შემოვა მომავალი ეკონომიკური სარგებელი და დაკმაყოფილებულია კომპანიის შესაბამისი კრიტერიუმი.
- მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადი - მოგებიდან გადასახადები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია კანონმდებლობის იმ დებულების შესაბამისად, რომლებიც ძალაში შესულია ან არსებითად ძალაში შესულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს 2023 წლის 1 იანვრამდე კომპანიის მოგების გადასახადის ხარჯი/შემოსავალი შედგებოდა მიმდინარე და გადავადებული გადასახადისაგან და აღიარდა წლის მოგება-ზარალში.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობის მიერ ცვლილებები შევიდა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის თანახმად კომპანიებს არ ევალებათ მოგების გადახდა 2017 წლის 1 იანვრის შემდგომ მიღებული მოგებიდან, სანამ ეს მოგება არ განაწილდება დივიდენდის სახით ან ამ კომპანიას არ ექნება დივიდენდის სახით მისი განაწილების განზრახვა.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშგებო პერიოდში დაგროვილი მოგებიდან გაცემული დივიდენდები მოგების გადასახადით იბეგრება გადანაწილებული ღირებულების მიხედვით, რომელსაც აკლდება შესაბამისი საგადასახადო აქტივი, გამოთვლილი, როგორც დასაბეგრი მოგების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის ხვედრითი წილი იმავე პერიოდის მთლიანი წმინდა მოგების მიმართ გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე, თუმცა, საგადასახადო აქტივის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გადასახადის ფაქტობრივ ოდენობას, რომლითაც დაიბეგრება განაწილებული დივიდენდები.

დივიდენდების გადახდის შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ჯგუფი გამოაცხადებს დივიდენდს.

➤ ძირითადი საშუალებები - ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომი აღრიცხვა ცვეთის და გაუფასურების გამოკლებით. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, აქტივის ღირებულების განაწილებით დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე.

➤ არამატერიალური აქტივები - არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების გამოკლებით. მისი ამორტიზირება ხდება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურებაზე ტესტირება, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღირდება მოგებაში ან ზარალში.

➤ მარაგები - ჯგუფი მარაგების შეაფასებას ახდენს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველაწარმოებულ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ტარდება მარაგების გაუფასურებაზე ტესტირება, რისთვისაც სასაქონლო მატერიალური ფასეულობების თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა დარეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარება მოგებაში ან ზარალში.

- სავაჭრო მოთხოვნები - რეალიზაცია ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.
- სავაჭრო ვალდებულებები - სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. უცხოურ ვალუტაში არსებული სავაჭრო ვალდებულებები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან ხარჯში.

3. ამონაგები

	2024 წელი	2023 წელი	2022 წელი
ამონაგები მომსახურების გაწევიდან (შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი)	11 847 730	14 334 381	7 109 927

4. შიდაჯგუფური ნაშთები და ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის სტანდარტის შესაბამისად შიდაჯგუფური ნაშთები და შიდაჯგუფური ოპერაციები, მათ შორის, შემოსავლები, ხარჯები და დივიდენდები, მთლიანად უნდა გამოირიცხოს. ასევე მთლიანად უნდა გამოირიცხოს შიდაჯგუფურ ოპერაციებთან დაკავშირებული მოგება და ზარალი, რომელიც ასახულია ისეთი აქტივების საბალანსო ღირებულებაში, როგორიცაა მარაგი და ძირითადი საშუალებები.

ჯგუფს ერთმანეთის მიმართ არ გააჩნია მოთხოვნა-ვალდებულებები, რადგან დაკავშირებული მხარეები არ უწყევნ ერთმანეთს მომსახურებას. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია ასახულია ჯგუფის ანგარიშგებაში.

5. კაპიტალი

2024 წლის 31 დეკემბრისთვის კაპიტალის ნაშთი შეადგენს 2 717 879 ლარს, რომელიც შედგება დამფუძნებლის შენატანისა და გაუნაწილებელი მოგებისაგან.

6. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

2024 წლის 31 დეკემბრისათვის ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები შეადგენს საბანკო ანგარიშებზე არსებულ ფულად სახსრებს, რომელიც ტოლია 766 787 ლარის.

დასახელება	2024 წელი	2023 წელი	2022 წელი
ფულადი სახსრები სალაროში	0 ლარი	0 ლარი	0 ლარი
ფულადი სახსრები ბანკში	766 787 ლარი	622 580 ლარი	469 294 ლარი

7. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 31 მაისს ფინანსური დირექტორის მიერ.

ფინანსური დირექტორი: ე.იასადაშვილი



ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	766787	622580	469294
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	803241	1138474	16722
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	76125	267318	144058
მარაგები	27369	24126	252701
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	27369	24126	252701
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	71370	46336	110000
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	2099	2968	3837
ძირითადი საშუალებები	740369	879022	13744
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	723335	723335	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	3210695	3704159	1010356

ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	137696	592991	55620
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	260	3700
საგადასახადო ვალდებულებები	252475	332791	142724
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	102645	329406	240254
სულ ვალდებულებები	492816	1255448	442298

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	723385	723385	50
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1994494	1725326	568008
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	2717879	2448711	568058
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	2717879	2448711	568058
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3210695	3704159	1010356
სულ მოკლევადიანი აქტივები	1154395	1085262	147734
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	423832	385201	73287
კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები	0	0	0

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	11847730	14334381
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	11847730	14334381
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-9362777	-11985606
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	2484953	2348775
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-887674	-672358
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-131977	-22175
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-103715	-114881
სულ საოპერაციო ხარჯები	-1123366	-809414
საოპერაციო მოგება	1361587	1539361
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	1361587	1539361
მოგების გადასახადის ხარჯი	-163862	-73543
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / (ზარალი)	1197725	1465818
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	1197725	1465818
მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილებელი მოგება (ზარალი)	1197725	1465818
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნილებელი მოგება (ზარალი)	0	0
მოგება / (ზარალი)	1197725	1465818
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილებელი მთლიანი შემოსავალი	1197725	1465818
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნილებელი მთლიანი შემოსავალი	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	1197725	1465818
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2448711	568058

ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	723335
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-928557	-308500
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2717879	2448711
კვლევისა და განვითარების ხარჯები	0	0